სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის #56/2023 დადგენილების მე-4 პუნქტით დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის #78/2024 დადგენილების საფუძველზე ჩატარებული

სხდომის ოქმი №20 (დამატებითი)

ქ. თბილისი, 05 აგვისტო 2024 წელი.
თსუ II კორპუსი, ოთახი 207.

სხდომას ესწრებოდა კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

მამუკა მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე);

გიორგი ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მზია ციცაგი;

დენიტა ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის #78/2024 დადგენილების თანახმად:

1. **ზოგადი, არაორგანული, მეტალორგანული ქიმიის** მიმართულებით ჩატარებული საკონკურსო პროცედურების ხელახლა განხილვა საკონკურსო-სააპელაციო კომისიის შესაბამისი ოქმებისა და იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, კონკურსის შეფასების პირველ ეტაპზე მესამე კატეგორიის შეფასების განხილვა და საცდელი ლექციის ხელახალი ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის, მამუკა მაისურაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ. აკადემიური საბჭოს დადგენილებით კომისიას დაევალა საკონკურსო-სააპელაციო კომისიის შესაბამისი ოქმებისა და იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით კონკურსის შეფასების პირველ ეტაპზე მესამე კატეგორიის შეფასების განხილვა და საცდელი ლექციის ხელახალი ჩატარების შესაძლებლობა.
   როგორც გადმოცემული მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული კონკურსის თობაზე შემოსული იყო კონკურსანტ მ.კეჟერაშვილის რამდენიმე საჩივარი. საჩივრები ეხება პრეტენზიების ფართო სპექტრს. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების თანახმად, კომისიას დაევალა კონკურსის პირველ ეტაპზე მესამე კატეგორიის შეფასების განმეორებითი განხილვა საცდელი ლექციის ხელახალი ჩატარების შესაძლებლობის განხილვასთან ერთდ. საჩივრებში აღწერილი სხვა პრეტენზიები განხილულია როგორც სააპელაციო საკონკურსო კომისიის, ასევე იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში და მიჩნეულია დაუსაბუთებლად. აქედან

გამომდინარე კომისიის მოვალეობაა კიდევ ერთხელ გადაიხედოს პირველი ეტაპის მესამე კატეგორიის მონაცემებს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა: დ.ბიბილეიშვილმა, მ.ციცაგმა, გ.ბეზარაშვილმა.

ისინი დაეთანხმნენ გამომსვლელს და კომისიის მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადახედილი შესაბამისი კატეგორიის მონაცემები.

მ.კეჟერაშვილის საჩივრებში მითითებულ იყო, რომ შეფასების ანკეტაში არასწორად იქნა მითითებული მისი მონაცემები, კერძოდ: ინფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციის რაოდენობა, ციტირების ინდექსები. აღსანიშნავია რომ ეს მონაცემები ცვლადია დროის მიხედვით და ზოგიერთი ჟურნალის წვდომა ცვალებადია. ასევე ძებნა სხვადასხვა ბაზაში სხვადასხვა შედეგებს იძლევა. შეფასების დროს კომისიამ გულდასმით გადაამოწმა მონაცემები ყველა ბაზაში და მივიღეთ შედეგი, რომელიც დაფიქსირებულია შეფასების ფორმაში. კომისიის მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებული მონაცემები ბაზებში, ასევე სააპელაციო კომისიის მონაცემები და მივიდა დასკვნამდე, რომ შეფასების ფორმაში დაფიქსირებული ინფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციის რაოდენობა საჭიროებს მცირეოდენ ცვლილებას. ამასთან კომისია აბსოლუტურად ეთანხმება სააპელაციო კომისიის შეფასებას განსახილველ სტატიაზე- „Effect of the Temperature of the Non-Solvent on the Morphology of the Polymeric Membranes"- G.Bibileishvili, **M. Kezherashvili,** N. Gogesashvili, L. Kuparadze, L. Ebanoidze, European Journal of Scientific Research (EJSR), vol.161,1, pp.5-15 "ჟურნალი არააქტიურია 2014 წლიდან და აღარ აქვს Scopus-ის დაფარვა". წარმოდგენილი სტატიის შესახებ ერთნაირი დასკვნაა წარმოდგენილი ორივე კომისიის და სააპელაციო კომისისი მიერ.

შესაბამისად, მიუხედავად მცირეოდენი უზუსტობისა ინფაქტ-ფაქტორიანი ჟურნალების რაოდენობის მხრივ, განსახილველად წარმოდგენილი სტატიის შეფასებიდან გამომდინარე, III კატეგორიის შეფასება არ შეიძლება შეიცვალოს.

კომისიამ ასევე იმსჯელა სადემონსტრაციო ლექციის ჩატარებისას მომხდარი ტექნიკური წუნის გამო არარსებული ჩანაწერების შესახებ, კიდევ ერთხელ დააფიქსირა სინანული მომხდარის გამო და განიხილა წუნდებული ჩანაწერების გამო სადემონსტრაციო ლექციათა ხელმეორედ ჩატარების საკითხი. კომისიის წევრთა ერთსულოვანი მოსაზრებით ლექცია უნდა წაიკითხონ კონკურსანტებმა, ვისი ჩანაწერიც ხარვეზიანი გამოდგა, კერძოდ- მ. კეჟერაშვილმა და თ.ლობჟანიძემ. კომისიამ უცვლელად დატოვა ჩასატარებელი ლექციის თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები.

დაადგინეს:

1. კონკურსანტ მ.კეჟერაშვილის შეფასების ფორმაში წარმოდგენილი III კატეგორიის შეფასება, მიუხედავად სტატისტიკური მონაცემების მცირეოდენი ცვლილებისა, დარჩეს უცვლელი.
2. ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული, მეტალორგანული ქიმიის კათედრის „ბ"კატეგორიის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეების კეჟერაშვილი მზიასა და ლობჟანიძე თეას მიერ, წინა ლექციის წუნდებული ჩანაწერის გამო, ჩატარდეს საცდელი ლექცია.

ლექცია ჩატარდეს კომისიის წინაშე, 30 წუთის ხანგრძლივობით,

სადემონსტრაციო საშუალება - დაფა.

თემატიკა კონკურსანტის არჩევანის მიხედვით კომისიის მიერ შერჩეული თემებიდან (იგივე):

1. ხსნართა კოლიგატიური თვისებები;
2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე, სხვადასხვა ფაქტორის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე.

ლექციის ჩატარების დრო - 08 აგვისტო, ხუთშაბათი.

ლექციის ჩატარების ადგილი- II სასწავლო კორპუსი, 207 ოთახი.

ლექციის ჩატარების რიგითობა - კეჟერაშვილი მზია - 11 საათი;

ლობჟანიძე თეა - 12 საათი;

ლექციის შეფასების კრიტერიუმები:

გადმოცემის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა;

აუდიტორიასთან კონაქტის დამყარების უნარი;

წარმოდგენილი მასალის სიღრმე;

პასუხები შეკითხვებზე.

მამუკა მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე);

გიორგი ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);

მზია ციცაგი (კომისიის წევრი);

დენიტა ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)